შემოსავლების
სამსახური

საბაჟო დეპარტამენტი

ბრძანება N 4584

18/02/2015

შპს „სოფო 24“-ის (ს/ნ 445434726)
გადასახადების დარიცხვისა და სანქციის შეფარდების შესახებ

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 26 ივლისის №290 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ“ ინსტრუქციის 118-ე მუხლის პირველი პუნქტისა და შემოსავლების სამსახურის უფროსის 2011 წლის 2 ივნისის №2742 ბრაძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის დებულების“ (დანართი №12) მე-6 მუხლის მე-4 პუნქტის „ვ” და „თ” ქვეპუნქტების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. საქონლის გაშვების შემდგომი შემოწმების 2015 წლის 17 თებერვლის № ა 21-21-10 შუალედური აქტის საფუძველზე, შპს „სოფო 24“-ს :

ა) ბიუჯეტში გადასახდელად დამატებით დაერიცხოს ძირითადი გადასახადი დღგ – **4359** ლარი, ძირითადი გადასახადი იმპორტის გადასახადი **– 2594** ლარი;

2. დასარიცხი გადასახდელები შპს „სოფო 24“-ს პირადი აღრიცხვის ბარათზე აისახოს საქონლის გაშვების შემდგომი შემოწმების № ა 21-21-10 შუალედურ აქტში მითითებული სახეებისა და ვადების მიხედვით;

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს საგადასახადო კოდექსის XIV კარით დადგენილი წესით, მისი ჩაბარებიდან 30 დღის ვადაში, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში – წერილობითი ან ელექტრონული ფორმით საჩივრის შემოსავლების სამსახურში (მის: ქ.თბილისი, ვ. გორგასალის ქ. №16 ან ქ. ქუთაისი, ჯავახიშვილის ქ. №5) წარდგენის გზით. აგრეთვე, თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის.: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6 ან ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ვლადიმერ ხუნდაძე

საბაჟო დეპარტამენტის უფროსი

შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტი

შემოსავლების სამსახური
საბაჟო დეპარტამენტი
CUSTOMS DEPARTMENT
GEORGIA REVENUE SERVICE

შემოსავლების სამსახური

დანართი №I-09

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს
შემოსავლების სამსახური

საბაჟო დეპარტამენტი
(საგადასახადო ორგანოს დასახელება)

გორგასლის 16
(საგადასახადო ორგანოს მისამართი)

საგადასახადო მოთხოვნა№ 081-23

19	ოქტომბერი	2015
რიცხვი	თვე	წელი

გადამხდელის/საგადასახადო აგენტის ან სხვა ვალდებული პირის რეკვიზიტები

შპს სოფო 24
(გვარი,სახელი/დასახელება)

საიდენტიფიკაციო/პირადი ნომერი **445434726**

მისამართი ბათუმი / ზ. გორგილაძის N1/18 ბ39

საგადასახადო კოდექსის 61-ე მუხლის საფუძველზე, ბრძანება N4584, თარიღი 18.02.2015
(მიუთითეთ საგადასახადო კანონმდებლობის ის ნორმა,რომლის საფუძველზეც მოხდა გადასახადის დარიცხვა)

გადასახდელად დაგერიცხათ:

გადასახადის დასახელება	გადასახადის ძირითადი	ჯარიმა	საურავი	სულ	შენიშვნა
დღგ	4359	0	1124.6	5483.6	
იმპორტის გადასახადი	2594	0	669.25	3263.25	
სულ	6953	0	1793.85	8746.85	

აღნიშნული საგადასახადო მოთხოვნა უნდა შესრულდეს მისი მიღებიდან 30 დღის ვადაში. საგადასახადო მოთხოვნა შესრულებულად ითვლება თქვენ მიერ საგადასახადო მოთხოვნაში აღნიშნული თანხის გადახდის მომენტიდან.

საგადასახადო მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში, თქვენ მიმართ გამოყენებული იქნება საქართველოს საგადასახადო კოდექსის 238-ე მუხლით გათვალისწინებული საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებები.

თქვენი უფლებები და ვალდებულებები განსაზღვრულია საქართველოს საგადასახადო კოდექსის 41-ე და 43-ე მუხლებით.

საგადასახადო მოთხოვნა შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს საგადასახადო კოდექსის XIV კარით დადგენილი წესით, საგადასახადო მოთხოვნის ჩაბარებიდან 30 დღის ვადაში, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში წერილობითი ან ელექტრონული ფორმით საჩივრის წარდგენის გზით. აგრეთვე, სასამართლოში საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საქონლის გაშვების შემდგომი შემოწმების
სამმართველოს უფროსი

დავით ბარამიძე

შემოსავლების სამსახური
საბაჟო დეპარტამენტი
CUSTOMS DEPARTMENT
GEORGIA REVENUE SERVICE

107994.2